საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA
სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL FOOD AGENCY

N 09/346
24/01/2022

346-09-2-202201241606

სს გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა

,,საქრუსენერგოს "-ს გენერალურ დირექტორს

ბატონ ბაჩანა სულაძეს

თქვენი 2021 წლის 7 დეკემბერის #17/645 წერილთან დაკავშირებით, რომელიც შეეხება სს გეს „საქრუსენერგო"-ს მიერ საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების 2021-2031 და 2022-2032 წლების ათწლიანი გეგმების შესაბამისად განსახორციელებელ პროექტს და „ცხოველთა გადამდები დაავადების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ საკარანტინო ღონისძიებათა განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 ივლისის N348 დადგენილების დანართი #2-ის (ცხოველების ჯილეხთან ბრძოლის პროფილაქტიკურ-საკარანტინო წესი) მე-12 მუხლის შესაბამისად ინფორმაციის გამოთხოვას ტერიტორიის ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობის შესახებ, ადგილზე ცხოველის ჯილეხის კერის არსებობასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ სააგენტოს ხელთ არსებული ოფიციალური მონაცემებით, თქვენს მიერ გადმოგზავნილ სიტუაციურ გეგმაზე და SHP ფაილებზე მითითებულ ტერიტორიაზე ჯილეხით მკვდარი ცხოველების სამარხების არსებობა არ ფიქსირდება (იხილეთ დანართი).

აქვე ავღნიშნავთ, რომ ჯილეხის დაავადება ენდემურია საქართველოსთვის. ქვეყანაში ჯილეხით დაავადებული და დაცემულ ცხოველთა 2,000-მდე რეგისტრირებული, ასევე დღემდე უცნობი სპონტანური, უკონტროლო სამარხები და კერებია, რომელიც რისკის მატარებლად რჩება ათეულობით წელი. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამუშაოების წარმოების პროცესში

ქ. თბილისი 0159, მარშალ გელოვანის გამზ. №6
6 Marshal Gelovani Ave., Tbilisi 0159, Georgia
ტელ/Tel: (+995 32) 91 91 67
ფაქ/Fax: (+995 32) 91 91 65
www.nfa.gov.ge
info@nfa.gov.ge

ჯილეხზე ეჭვის მიტანისას ან/და ჯილეხის შემთხვევის დაფიქსირებისას, გთხოვთ შეაჩეროთ საქმიანობა და გვაცნობოთ.

დანართი 1 ფურცელი.

პატივისცემით,

ზურაბ ჩეკურაშვილი

სააგენტოს უფროსი